

მორიგი სვლილებები საგადასახადო კოდექსში

მოქმედი საგადასახადო კოდექსის ზოგიერთი მუხლით განსაზღვრული დაბეგვრის და ადმინისტრირების პროცედურების დახვეწისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული სფეროს რეგულირებისათვის უფრო ეფექტური, მოქნილი მექანიზმების შემუშავების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის N2946-ის კანონით „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლითაც დაიხვეწა დაბეგვრის და ადმინისტრირების მექანიზმი, გასწორდა ზოგიერთი ორაზროვანი და ბუნდოვანი დებულება, აღმოიფხვრა ტექნიკური და რედაქციული ხასიათის უზუსტობები, თუმცა მათი უკეთ აღქმისთვის უპრიანია მკითხველს მივანოდოთ მათზე კომენტარიც.



ცვლილებების მიხედვით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, რომლის შესაბამისადაც დაზუსტდა, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (თიზ-ის) საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული საწარმოსათვის საქონლის მიწოდების ან საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული საწარმოდან საქონლის კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თზი-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების, ან კიდევ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული საწარმოდან საქონლის მიწოდებისას გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა (ყოფილი რედაქცია ითვალისწინებდა არაუგვიანეს 15 რიცხვამდე).

ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ტურისტული საწარმოს მარეგულირებელი დებულებები (მუხლი 26¹), ტურისტული საწარმო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის იურიდიული პირი, რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების /მათი ნაწილის მიწოდებას მათი იჯარით უკან მიღების მიზნით და უზრუნველყოფს შენობის, როგორც სასტუმროს ფუნქციონირებას და ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების (სასტუმროს ნომრების) მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით.

ტურისტული საწარმო, არსებული შეღავათებით ისარგებლებს იმ შემთხვევაშიც, თუ რეალიზებული სასტუმროს ნომერს ახალი მესაკუთრისგან მიიღებს არა მხოლოდ იჯარით, არამედ სარგებლობის, მარ-

თვის უფლებით, საკუთრების მინდობით, ან კიდევ სხვა სახელშეკრულებო პირობებით. ამასთან, ასეთი საქმიანობა არ ჩაითვლება ერთობლივ საქმიანობად და არ განიხილება ამხანაგობად.

ახალმუხრად ჩამოყალიბდა სსკ-ის 46-ე მუხლი (საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ წერილობითი განმარტების გაცემა და საჯარო გადაწყვეტილების გამოცემა) და იგი ახალი რედაქციის შესაბამისად ფაქტობრივად ორ მუხლად ჩამოყალიბდა:

„მუხლი 46. განმარტება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ

საგადასახადო ორგანო, უფლებამოსილია პირს გაუზიაროს წერილობითი განმარტება, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. აღნიშნული განმარტება არის რეკომენდაცია.“

აქვე საგადასახადო კოდექსს დაემატა ახალი 46¹ მუხლი:

მუხლი 46¹. საჯარო გადაწყვეტილება

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოსცეს საჯარო გადაწყვეტილება, საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შესახებ.

2. დოკუმენტი საჯარო გადაწყვეტილებად ჩაითვლება, თუ მასში მითითებულია, რომ იგი არის საჯარო გადაწყვეტილება.

3. საჯარო გადაწყვეტილება (მათ შორის, გადაწყვეტილება საჯარო გადაწყვეტილების ცვლილების ან

გაუქმების შესახებ) ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. საჯარო გადაწყვეტილება ძალაში შედის მასში მითითებული თარიღიდან, მოქმედებს უვადოდ ან მასში მითითებული ვადით. ამ გადაწყვეტილების გამოყენება საგადასახადო ორგანოსთვის სავალდებულოა მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

5. საჯარო გადაწყვეტილება არ გამოიყენება, თუ შეიცვალა ან გაუქმდა საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის გამოყენების შესახებაც გამოიცა ეს გადაწყვეტილება.

6. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნოს ან შეცვალოს საჯარო გადაწყვეტილება.

7. თუ პირი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და დამატებით გადასახადის/სანქციის დარიცხვა.

8. თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება ორი საჯარო გადაწყვეტილება ან საჯარო და წინასწარი გადაწყვეტილებები, პირი უფლებამოსილია იმოქმედოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესაბამისად, თავისი შეხედულებისამებრ.

9. საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით“.

ამ ჩანაწერით, როგორც იქნა, ხელისუფლებამ გარკვეულწილად გათვალისწინა ექსპერტებისა და სპეციალისტების წინადადებები საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით გაცემულ წერილობითი განმარტებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების თაობაზე და ამიერიდან უკვე სსკ-ის ახალი 46¹ მუხლის (საჯარო გადაწყვეტილება) შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია გამოსცეს საჯარო გადაწყვეტილება საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შესახებ. ამასთან, მიგვაჩნია, რომ აქვე მითითებულიყო იმის თაობაზეც, რომ საჯარო გადაწყვეტილება ასევე მიიღება საგადასახადო დავებზე სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული დადგენილებების საფუძველზეც.

არსებითია ხაზგასმა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტი საჯარო გადაწყვეტილებად ჩაითვლება, თუ მასში მითითებული იქნება, რომ იგი წარმოადგენს საჯარო გადაწყვეტილებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ პირი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის/სანქციის დარიცხვა. მეტად მნიშვნელოვანია იმის დათქმაც, რომ თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება ორი საჯარო

გადაწყვეტილება, ან/და საჯარო და წინასწარი გადაწყვეტილებები, პირს ენიჭება უფლებამოსილება აირჩიოს ერთ-ერთი და იმოქმედოს მის მიერ არჩეული გადაწყვეტილების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში კი პირს არ დაერიცხება დამატებით გადასახადელი გადასახადი და ფინანსური სანქცია.

იქედან გამომდინარე, რომ მოქმედი კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა საგადასახადო ორგანოს მიერ საბანკო დაწესებულებისგან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების სამართალწარმოების წესი, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად ცვლილებები შევიდა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. აღნიშნულის პარალელურად სსკ-ის შესაბამისი მუხლი (70-ე) ახალი რედაქციით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„მუხლი 70. ინფორმაციის მოთხოვნის უფლება

1. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირს მოსთხოვოს:

ა) მისი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და მის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის (მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის) წარდგენა;

ბ) მისი ქონების ნუსხის წადგენა.

2. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, განახორციელოს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

3. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე კომერციული ბანკისაგან გამოითხოვოს პირის შესახებ „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ ინფორმაციას საგადასახადო ორგანო გამოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით .

4. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია გაიცემა სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

5. პირი ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია მითითებულ ვადაში, სწორად და სრულად წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს. პირი, რომლის ქონებასაც საგადასახადო ორგანომ ყადაღა დაადო, ვალდებულია ახალი ქონების შეძენის შემთხვევაში ამ ქონების შეძენიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა შეასწოროს მის მიერ წარდგენილი ქონების ნუსხა.

რედაქციული ხასიათის ცვლილება განხორციელდა საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისადაც დაზუსტდა, რომ საშემოსავლო გადასახადში არსებული შედგავთის გამოყენების მიზნებისათვის აქტივის საკუთრებაში ფლობის 2 წლიანი ვადა, მარეგისტრირებელ ორგანოში



უფლებრივად ერთ საგნად რეგისტრირებული აქტივის გაყოფის შემთხვევაში, მიღებულ აქტივთან დაკავშირებით 2 წლიანი ვადა აითვლება გაყოფამდე არსებული აქტივის საკუთრებაში ფლობის თარიღიდან.

სსკ-ის 102-ე მუხლში (ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები) მე-3 ნაწილის დამატებით დგინდება, რომ ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევის (სასტუმროს ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენების) შედეგად მიღებული შემოსავლი აისახება ტურისტული საწარმოს ერთობლივ შემოსავალში.

ამასთან, სსკ-ის 105-ე მუხლში (შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან) მე-8 ნაწილის დამატებით დადგინდა, რომ ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება გამოიქვეითება ტურისტული საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან.

მნიშვნელოვნია სსკ-ის 106-ე მუხლის (ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვეითება) „დ“ და „ე“ ნაწილების ახალი დაზუსტებული რედაქცია:

„დ) მოგების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა ამ მუხლის შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

„ე) იმ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, რომელიც მოგების გადასახადის მიზნებისათვის არ ითვლება მიწოდებად, ან რომლის მიწოდებისას შესაბამისი შემოსავალი/საბაზრო ფასი ამ კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად არ ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ასახვას, გარდა

იმავ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“ (ვრცელდება 2013 წლის 31 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

აქვე „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის შემნიშვნა:

„შენიშვნა: ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით და 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირს უფლება აქვს, გამოქვეითოს გათავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამ

უფლების გამოყენების შემთხვევაში პირი ვალდებულია საშემოსავლო/მოგების გადასახადით დაბეგროს ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის და 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საშემოსავლო/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებული შემოსავალი.“

არამატერიალური აქტივები სსკ-ის 113-ე მუხლის შესაბამისად ცალკე ჯგუფად აღირიცხება. აღნიშნული ჩანაწერის გაგება ხდებოდა ისეთნაირად, რომ თითქოსდა ერთ ცალკე ჯგუფად უნდა აღრიცხულიყო ყველა არამატერიალური აქტივი, ეს უკანასკნელი კი პრაქტიკულად შეუძლებელია მათი სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან გამოსავითი ხარჯის განსაზღვრის განსხვავებული წესების გამო. აღნიშნული გაურკვევლობის აღმოფხვრის მიზნით, დაკონკრეტდა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა სსკ-ის 113-ე მუხლის (არამატერიალურ აქტივებზე სამორტიზაციო ანარიცხების გამოქვეითვა) მე-3 ნაწილი:

„3. თითოეული არამატერიალური აქტივი ცალკე ჯგუფად აღირიცხება“.

აღნიშნულის შესაბამისად კი შენობებისა და ნაგებობების მსგავსად არამატერიალური აქტივებზეც ცალ-ცალკე უნდა მოხდეს ამორტიზაციის დარიცხვა.

სსკ-ს დაემატა ახალი 133² მუხლი:

მუხლი 133². ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივის/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკური პირის შემოსავლის დაბეგრვა

1. ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკური პირისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5 პროცენტის განაკვეთით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც დაიბეგრება გადახდის წყაროსთან არ ჩაირთვება მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ არ დაიბეგრება.

აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე, სსკ-ის თანამფლობელობის მარეგულირებელ 143-ე მუხლს დაემატა მე-11 ნაწილი, რომლის შესაბამისად ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკური პირისაგან შესაბამისი სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიღება და სასტუმროს ფუნქციონირების ორგანიზება სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ამხანაგობად არ განიხილოება.

სსკ-ის 154-ე მუხლის (გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი) პირველ ნაწილზე „ო“ ქვეპუნქტის დამატება:

„ო) ტურისტული საწარმო - ამ კოდექსის 133² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“

განაპირობებულია 133² მუხლის დამატებით.

საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის (დღგ-ის გადასახადის გადამხდელი) „დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ დღგ-ის გადამხდელად ითვლება არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე ექვემდებარება უკუდაბეგრას, ცვლილებით მყოფ არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების გარეშე მომსახურების გაწევას.

რედაქციულად დაზუსტდა ტურისტული საწარმოს განხორციელებული ოპერაციების დღგ-ით დაბეგრასთან დაკავშირებული დებულებები, შესაბამისად აღნიშნულისა ცვლილებები განიცადა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა სსკ-ის 161-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ტურისტული საწარმოს სტატუსის მოქმედების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას სტატუსის გაუქმების მომენტი, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა არის სხვაობა ამ კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ

დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვასა და ტურისტული საწარმოს ან/და სასტუმროს ფუნქციონირებისათვის/ოპერირებისათვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმროს (ობიექტის/მისი ნაწილის) ფუნქციონირების შედეგად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა დღგ-ისაგან განთავისუფლებული ოპერაციებისა) დეკლარირებულ (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ობიექტის მიხედვით დამატებით დარიცხულ) თანხას შორის.“

საგადასახადო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აქციზისაგან ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულია საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოსვლილი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების იმ სტანდარტულ ავზში არსებული საწვავი, რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირებული. თუმცა ზემოთ აღნიშნული საქონლის იმპორტი საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისად არ თავისუფლდებოდა დღგ-ისაგან, შესაბამისად ამისა პრველ ნაწილს დაემატა „ჟ“ ქვეპუნქტი:

„ჟ) საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოსვლილი პირის ავტოსატრანსპორტო საშუალების ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაკავშირებულ სტანდარტულ ავზში არსებული საწვავის იმპორტი;“

რითაც ფაქტობრივად გასწორდა საგადასახადო კოდექსის მოქმედ რედაქციაში არსებული აღნიშნული ხარვეზი.

ასევე ცვლილებები შევიდა სსკ-ის 168-ე მუხლის (დღგ-ისაგან განთავისუფლებული ოპერაციები) ზოგიერთ პუნქტებში, კერძოდ კი:

არსებული კანონმდებლობით შიდა გადამუშავებაში მოქცეული საქონელის გადამუშავების მიზნით გაწეული მომსახურება (საქონლის დამუშავება, მონტაჟი, აწყობა, სხვა საქონელზე მორგება, წარმოება, შეკეთება, აღდგენა და სხვა) იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით, რაც იწვევს ქართული კომპანიების მიერ უცხოური კომპანიებისათვის გასაწევი მომსახურების გამპირებას და არაკონკურენტუნარიანი პირობების შექმნას. ცვლილებების შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადისგან განთავისუფლდება შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე აღნიშნული სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში მონტაჟის, აწყობის, რემონტის, წარმოების, შეკეთების და სხვა მომსახურების სახეების გაწევა.

რედაქციულად დაზუსტდა ტურისტული საწარმოს განხორციელებული ოპერაციების დღგ-ში არსებული შეღავათის გამოყენებასთან დაკავშირებული დებულებები.

საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის (დღგ-ის

ჩასათვლელი თანხა) პირველი ნაწილის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებსა და 175-ე მუხლის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) 3-ე ნაწილში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტდა დღგ-ით საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დაბეგვრის პირობები.

სსკ-ს 178-ე მუხლს (წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ოპერაცია) დაემატა მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისად ტურისტული საწარმოს მიერ მომსახურების გაწევა ტურისტული საწარმოს ოპერაციად განიხილება:

„3. ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკური პირისაგან მიღებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით სასტუმრო მომსახურების გაწევა განიხილება ტურისტული საწარმოს ოპერაციად და დღგ-ით იბეგრება ტურისტული საწარმოსთვის ამ კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.“

საგადასახადო კოდექსის 203-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სადავო ხდება რამდენად მოიაზრება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ცნებაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული მიწები. აღნიშნული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, 200-ე მუხლს



დაემატა მე-7 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განმარტების შესახებ დაზუსტდა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ მიწასაც. ცვლილებით გამოირიცხა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული მიწების ქონების გადასახადით დაბეგვრისგან თავის არიდების შემთხვევები.

საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლს დაემატა 8¹ ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს, შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადება შესაძლებელი გახდა 1 წლით, უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე.

საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის მე-7 ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად დაზუსტდა, რომ სასაქონლო ზედნადების გამოყენება სავალდებულოა დაბეგვრის სპეციალური შეღავათიანი რეჟიმით მოსარგებლე პირთათვის (მიკრო, მცირე ბიზნესისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირები), იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო ოპერაცია არ ხორციელდება შესაბამისი საქმიანობის ფარგლებში.

ამავე მუხლის მე-13 ნაწილი ფორმულირებულია ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, ამავე მუხლის პირველი 1¹ და 1² ნაწილებით (სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის (მათ შორის, ხე-ტყის) სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება. მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების (მიღებაზე უარის თქმა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს ექნება უფლება გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება და აღნიშნული დააფიქსიროს ტექნიკური საშუალებებით.

მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათის ცვლილებები და დამატებები შევიდა საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლში.

აღნიშნული მუხლის 37 ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოწერას ექვემდებარება:

ა) 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი, თუ პირს 2005 წლის შემდგომი პერიოდისათ-



ვის (თანხის ჩამოწერამდე) საგადასახადო ორგანოში არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციის) საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ერთობლივი შემოსავლის თანხა ნულზე მეტია ან/და ჩასათვლელი თანხა აღმატება დარიცხულ თანხას) ე. ი. აქტივობები არ უფიქსირდებათ;

ბ) 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა. აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში ანალოგიურადვე აქტივობები არ უფიქსირდება;

გ) საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნომრის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა. (ეს უკანასკნელი გავრცელდება 2013 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე).

ამავე მუხლის 42-ე ნაწილში შეტანილი ცვლილების შესაბამისად იმ პირების, რომლებიც 2012 წლის 1 იანვრამდე ახორციელებდნენ ბაზრობის ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზებისა) ვალდებულება სსკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად მიიღონ სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი გადავადებულია 2017 წლის 1 იანვრამდე (ყოფილი რედაქცია ითვალისწინებდა 2016 წლის 1 იანვრამდე).

კიდევ ერთხელ გადავადდა, საგადასახადო კოდექსის აქილევსის ქუსლად ქცეული სსკ-ის 123-ე მუხლით გათვალისწინებული სუსტი კაპიტალიზაციის მოქმედების წესის გავრცელების ვადა და იგი 2016 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე არ გავრცელდება (ყოფილი რედაქცია

ითვალისწინებდა 2016 წლის 1 იანვრამდე).

საგადასახადო კოდექსის ამავე მუხლში შეტანილი 65-ე - 73-ე ნაწილებით 2015 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვანი შეღავათები შედის ძალაში ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერისა და ევროპული ფეხბურთის ასოციაციის კავშირის (უეფა-ს) 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები-სა, აგრეთვე მიწოდებული საქონლისა და მომსახურების გადასახადებით დაბეგვრისაგან განთავისუფლების თვალსაზრისით, რომლით სარგებლობის წესსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი განსაზღვრავს.

P.S. კომენტარები უკვე მზად იყო, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ კიდევ რამდენიმე კანონპროექტის განხილვის შემდეგ საქართველოს 2014 წლის 11 დეკემბრის N2874, საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის N2938; N2949; N2950; N2952; N2953 და საქართველოს 2014 წლის 26 დეკემბრის N3015 კანონებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ახალი ცვლილებები და დამატებები შევიდა.

ასე, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები პერმანენტულად კვლავაც გრძელდება. ამდენად, გადამხდელები მუდმივად უნდა იყვნენ საქმის კურში საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებების თაობაზე, სხვა შემთხვევაში, ისინი კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების არ ცოდნის გამო, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი რეგულაციების უნებლიე მსხვეპლიც კი შეიძლება გახდნენ, ან კიდევ მათთვის შემოღებული შეღავათებით ვერ ისარგებლონ.

სულიკო ფუტკარაძე

ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ლელა გურგენაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი